ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2375009

ნომერი: AR1366543

თარიღი : 24.12.2015

გაცემის თარიღი : 05.01.2016

გაცნობის თარიღი : 05.01.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქაროსანიძე ირინე პ/ნ 01030002617
- თბილისი ნინოშვილის ქუჩა #24ბ

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. N57–ში საჩრდილობლის მოწყობის

საკითხს. რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 04.01.2016 წლის №2372545 გადაწყვეტილებით გეცნობათ თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზი: "თქვენ მიერ წარმოდგენილია საჩრდილობლის მოწყობის რამდენიმე ვარიანტი. შესაბამის ველში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ერთი საპროექტო ფოტომონტაჟი (საბოლოო ვარიანტი ზომების, ნიშნულებისა და მასალების მითითებით). ამასთან, საჭიროა წაიშალოს ყველა სხვა ვარიანტი".

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ კვლავ არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული მითითება. თქვენ მიერ წარმოდგენილია საჩრდილობლის მოწყობის რამდენიმე ვარიანტი.

ვინაიდან, თქვენ მიერ სრულად არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია, ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი დარჩება განუხილველი.

დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის და სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის სრულად შევსების შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის განმეორებით განხილვა.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.